პ რ ე ს რ ე ლ ი ზ ი

1. საქართველოს პარლამენტის წევრების: ლევან მგალობლიშვილის, ირაკლი მეზურნიშვილის, ანზორ ბოლქვაძისა და გიორგი ჩაკვეტაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი: **„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** (07-3/388; 15.11.2023) (კანონპროექტი განიხილება დაჩქარებული წესით) (წამყვანი-საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი) (ვადები წამყვან კომიტეტზე - **20.11-01.12.2023 სხვა კომიტეტზე - 20.11-01.12.2023)** (პასუხისმგებელი პირები კომიტეტიდან: გ. დოლიშვილი, ი. ქველაძე);

საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების მიხედვით, მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმის მიზნით გამოყენებისთვის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიანტები დარიცხული სანქციისგან (ჯარიმა და საურავი) განთავისუფლდებიან. ერთჯერადი ამნისტიის ფარგლებში, მოხდება 2018 წლის 1-ელი იანვრიდან 2023 წლის 1 ივნისამდე წარმოშობილი და გადაუხდელი „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლით დადგენილი მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმის მიზნით გამოყენებისთვის დარიცხული/დაკისრებული მოსაკრებლის თანხა ან/და მასთან დაკავშირებული ჯარიმის და საურავის ჩამოწერა.
„ბიზნესომბუდსენის აპარატის მიერ შესწავლილი საკითხებიდან გამომდინარე, მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმის მიზნით გამოყენებისთვის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების უმეტესი ნაწილი გაცემულია ფიზიკურ პირებზე ,რომლებმაც ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ვერ შეძლეს წყლის მოპოვების პროცესის დასაწყებად ტექნიკური სამუშაოს ჩატარებისა და სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობის ფინანსური რესურსის მოძიება და გამოყენება., შესაბამისად, მტკნარი წყლების ჩამოსხმის მიზნით გამოყენებისთვის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების (შესაბამისი დამტკიცებული ათვისების გეგმით ან მის გარეშე) მქონე პირებს, არ მოუხდენიათ მტკნარი წყლის რესურსის გარემოდან ამოღება, მისი მოპოვება და ჩამოსხმა, კერძოდ, ლიცენზიის მფლობელთა განსაზღვრული მოსაპოვებელი რესურსის ჯამური მოცულობიდან შემოწმებით არ დგინდება მათ მიერ ბუნებრივი რესურსის მოპოვების ფაქტი. ამასთან, ,გასათვალისწინებელია ახალი კორონავირუსის (COVID -19) ზეგავლენა, რომლის პირობებშიც კიდევ უფრო გართულდა შესაბამისი ბიზნესსაქმიანობის წარმოება და ზემოხსენებული პრობლემების მოგვარება.
შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც დღეის მდგომარეობით პირებს ფაქტობრივად არ გააჩნიათ მოქმედი ბიზნესი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ვინაიდან აღარ ფლობენ საქმიანობის ლიცენზიას, მათგან მოსაკრებლის თანხის და მასზე დარიცხული საურავების ამოღება თითქმის შეუძლებელია სახელმწიფოს მხრიდან. თავის მხრივ, აღნიშნული დარიცხვები, დღითიდღე იზრდება, რაც პრობლემას უქმნის ამ პირებს თავიანთ საქმიანობაშიც და სამომავლოდ ბიზნესის წარმოებაში, იქნება ეს საბანკო კრედიტების აღება თუ სხვა.

2. **საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისთვის წარმოდგენილი 2019 წლის 9 დეკემბრის ,,საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა)“ N1 ცვლილების წერილი-შეთანხმება (07-2/334;**

14.11.2023) (წამყვანი-საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი) (ვადები; **წამყვან კომიტეტზე - 15.11 – 07.02.2024; სხვა კომიტეტზე - 15.11- 06.12)** (პასუხისმგებელი პირები კომიტეტიდან: გ. დოლიშვილი, ლ ხუტულაშვილი);

საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის 2019 წლის 9 დეკემბერს ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა), რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 მარტის №5781 დადგენილებით.
აღნიშნული სესხით ძირითადად ფინანსდება პროექტის ტექნიკურ ეკონომიკური კვლევის ჩატარება; სოციალური და გარემოსდაცვითი გარემოებების დეტალური შესწავლა; საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და სხვა.
2023 წლის 11 აპრილს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ აზიის განვითარების ბანკს მიმართა ცვლილების თაობაზე.
აღნიშნული ცვლილება გულისხმობს PRF-ის განმახორციელებელ უწყებად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დამატებას და PRF შემსრულებელ უწყებად სივრცითი ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს დამატებას, წერილს შეთანხმების პროექტში ასევე გათვალისწინებულია სესხის დახურვის თარიღის გაგრძელება 2025 წლის 30 დეკემბრამდე (ნაცვლად 2023 წლის 31 აგვისტოსი)
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით აღნიშნული ცვლილებები განპირობებულია 2022 წლია 13 მაისს „საქართველოსა სივრცის დაგეგმარების, არქიტექტორული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ შესული ცვლილების გათვალისწინებით, რომლის შესაბამისად საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფუნქციები და მოვალეობები (სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობის მიმართულებით), გადაეცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საქართველოს სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს და სააგენტო ჩაითვალა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს უფლებამონაცვლედ (სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობით დაგეგმვის მიმართულებით) საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.
აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი საქართველოს მასშტაბით ურბანული განაშენიანების დეტალური პროექტირება და ახალი ურბანული მართვის მექანიზმების დანერგვა.
2019 წლის 9 დეკემბრის საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა) ფარგლებში სააგენტოს მიერ 2023-2025 წლების განმავლობაში დაგეგმილია შემდეგი სამუშაოების განხორციელება: საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმის შემუშავებისთვის, კანონმდებლობის და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში შესატანი ცვლილების განხორციელებისთვის, გეგმების გამოხაზვის, წესის შემუშავებისთვის, სივრცითი და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავებისათვის, დამტკიცებული გენ-გეგმის რევიზიისთვის და სივრცის დაგეგმარების საინფორმაციო სისტემის შემუშავებისათვის საკონსულტაციო მომსახურებია შესყიდვა.

სესხის ფინანსური პირობებია:
ADB-ის მიერ გამოყოფილი სესხის ოდენობა: 13.550.00 ევროს ოდენობის ფინანსური რესურსი.
სესხის ხანგრძლივობა 15 წელი (შეღავათიანი პერიოდი 3 წელი).
საპროცენტო განაკვეთის ტიპი: 6 თვიან EURIBOR-ზე დაფუძნებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთი (EURIBOR-ს +0.5%) (2023 წლის 30 ოქტომბრის შემადგენლობით EURIBOR შეადგენს 4.109%).

3. საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისთვის წარმოდგენილი **,,2017 წლის 12 ივნისის ,,საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების ჩვეულებრივი ოპერაციები) (ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი)" N4 ცვლილების წერილ-შეთანხმება** (07-2/337; 17.11.2023) (წამყვანი - საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი) წამყვან კომიტეტზე - **20.11-13.02.2024; სხვა - კომიტეტზე: 20.11-11.12 2023) (პასუხისმგებელი** პირები კომიტეტიდან: გ. დოლიშვილი, ლ. ხუტულაშვილი);

2017 წლის 12 ივნისს ხელი მოეწერა „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმებას (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი)", ხოლო 2017 წლის 17 ივნისს ხელი მოეწერა „საქართველოსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს შორის სასესხო შეთანხმებას (ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი)"
პროექტი ითვალისწინებს ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობის დაფინანსებას. პროექტის განხორციელების მიზნით ADB-ის მიერ გამოყოფილი იქნა ფინანსური რესურსის ნაწილი 108,190,000 ევროს ოდენობით, სესხის სახით. აღნიშნული პროექტის დაფინანსება ასევე ხორციელდება AIIB-ის ფინანსური რესურსით (114,000,000 აშშ დოლარი). ADB წარმოადგენს ძირითად დონორს, ხოლო AIIB-თანადამფინანსებელს.
პროექტის განმახორციელებელია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მეშვეობით.
ADB-ს მიერ გამოყოფილი სესხის ფინანსური პირობებია:
სესხის ვალუტა: ევრო
სესხის ხანგრძლივობა : 24 წელი (შეღავათიანი პერიოდი 13 წელი)
საპროცენტო განაკვეთი: 6 თვიანი euribor-ზე დაფუძნებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთი
ვალდებულების გადასახდელი(commitment fee) წლიური 0.15%.
2017 წლის 12 ივნისს ხელი მოეწერა №1 ცვლილების წერილ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა სასესხო შეთანხმების პირველ დანართში ახალი პუნქტის ჩამატებას, რის მიხედვითაც პროექტის ფარგლებში მომზადდებოდა ბათუმის შემოვლითი-სარფი (E70 გზის მონაკვეთი) მონაკვეთის დეტალური პროექტირების, გარემოზე ზემოქმედების შეფასების, მიწის შესყიდვის, განსახლების გეგმის და სატენდერო დეტალური დოკუმენტაცია.
2020 წლის 28 იანვარს ხელი მოეწერა №2 ცვლილების წერილ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა ADB-ის სესხის ფარგლებში არსებული დანაზოგით ბაკურციხე-წნორის გზის მონაკვეთისა და ფოთის ხიდის მშენებლობის დაფინანსებას, ბათუმი-სარფის შემოვლითი გზის დეტალური პროექტირების მომზადებასა და სესხის დახურვის თარიღის 2023 წლის 31 დეკემბრიდან 2025 წლის 31 დეკემბრამდე გადაწევას.

2020 წლის 10 დეკემბერს ხელი მოეწერა №3 ცვლილების წერილ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა ADB-ს სესხის ფარგლებში PBM (შესრულებაზე დაფუძნებული მოვლა-შენახვა) ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული თანხის გამოყენებას თბილისი (გლდანი)-თიანეთის 21 კმ გზისა და 7 მეწყრული ზონის რეაბილიტაციის დასაფინანსებლად. ვინაიდან აღნიშნული გზის მონაკვეთი იყო ცუდ მდგომარეობაში, მასზედ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება იყო გართულებული და შესაბამისად მოითხოვდა რეაბილიტაციას შემჭიდროებულ ვადებში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული სამუშაოები განხორციელებულიყო სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით.
ასევე, RD-ს ინფორმაციით სასესხო შეთანხმებით გათვალისწინებულ, სესხის თანხის ხარჯვითი კატეგორიების საკონსულტაციო მომსახურებების კატეგორიაში არსებული დანაკლისი შეადგენდა დაახლოვებით 1,300,000 ევროს, ხოლო ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობის ზედამხედველობის ვადების 2022 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელებისთვის ADB-ის დაფინანსების ნაწილში საზედამხედველო კომპანიისგან მოთხოვნილი იყო დამატებით დაახლოვებით 1,200,000 ევრო. აღნიშნული თანხების ჯამი შეადგენს 2,500,000 ევროს. სამინისტროს თხოვნით, საჭიროა გზების რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული თანხიდან (9,480,000 ევრო) საკონსულტაციო მომსახურების ხარჯვით კატეგორიაში 3,700,000 ევროს რეალოკაცია, იმ შემთხვევისათვის, თუ საჭირო გახდება ბათუმის შემოვლითი გზის ზედამხედველობის კონტრაქტის ვადის შემდგომი გაგრძელება, ხოლო გზების რეაბილიტაციის მუხლში დარჩენილი თანხის 5,790,000 ევრო მთლიანად გადატანილ იქნას ბათუმის შემოვლითი გზის სამშენებლო სამუშაოების ქვე კატეგორიაში, რაც გამოყენებულ იქნება როგორიც არის: გარე განათების ქსელის მოწყობა, პირველი გვირაბის პროექტში ცვლილების განხორციელება და სხვა სამომავლო სავარაუდო ცვლილებებისათვის, ისევე როგორც შეთანხმების გათვალისწინებული ფასთა ინდექსაციისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ADB-ს მიერ ხელმოსაწერად წარმოდგენილ იქნა სასესხო შეთანხმების **№ 4 ცვლილება,** რომელიც ითვალისწინებს შემდგომ ცვლილებებს:
უქმდება კატეგორია 1B „ სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები“.
კატეგორიაში 1B , სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები“ არსებული თანხიდან (9,490,000 ევრო) 5,790,000 ევრო გადატანილი იქნება 1A „ ბათუმის შემოვლითი გზა“ ხარჯების კატეგორიაში, ხოლო 3,700,000 ევრო გადატანილი იქნება 2A „ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობის ზედამხედველობა“ ხარჯების კატეგორიაში.
უქმდება დანართი 1-ის პუნქტი 2 (ბ) -ის ჩანაწერი: „21 კილომეტრიანი გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია, მათ შორის 7 მეწყრული მონაკვეთი, თბილისი (გლდანი)-თიანეთის გზის გასწვრივ.